


ქართველთა შური



ქართველთა შურმა შეჭამა ბაგრატიონთა სამეფო სახლი. არა მართო რუსებმა, შურმაც გაუუქმა ქართველებს მეფობა.

ერეკლე II-ის ქვრივი დარეჯანი და მისი შვირები, რომელთაც არ სურდათ, ტახტი უფროს ძეს გიორგეს რგებოდა, ჩუმად, ყოველკგვარი ხერხით ცდილობდნენ ხადხის აღშფოთებას და მეფეს წინააღმდეგ განწყობას. გიორგის გამეფებიდან მეოთხე თვეს ძმები აუჯანყდნენ: იუღონი ქართლში გაბატონდა, ვახტანგი – არაგვის ხეობაში, მირიანი – მარტყოფში, ფარნაოზი –სურამში, ადექსანდრე სპარსეთში გაიქცა. ფარნაოზს ბეჭელიც კი ჰქონია წარწერით: "მეფე ფარნაოზ".

1803 წელს საქართველოდან რუსეთში გარეკირი ერეკლეს შვირები იხსენებდნენ წარსულ დროს, მეფობის დაცემის მიზებს და ფარნაოზს აბრალებდნენ ყველაზე უმცროსს, ის კი ამბობდა, – მამაჩემის ანდერძით, ყველას რიგრიგობით უნდა გვემეფა, ჰოდა, ჩემი წილი მეფობა ახლა მსურდაო. იცინოდნენ და "მხიარულებით განაბავებდნენ მეფობისა ღირსებათა თვისთა და პატივისა დაკარგვისა სიმწარესა" (პ. იოსელიანი).

1812 წელს, რუსეთის წინააღმდეგ ვახეთის აჯანყებისას, ბევრმა შეიმოსა "ურცხვინოების სამოსელი". ადექსანდრე ბატონიშვილს კვადში ედგა დიმიტრი ორბელიანი რუსის ჯარით. დიმიტრის მანავში ყოფნისას ივრის პირას ორი მეცხვარე თუში მოდიოდა. დაინახა ეს ერმი მუხრანბატონიშვირმა, მოეწონა თუშების ვერცხრით შემკული იარაღი, შეშურდა მათი, შეიპყრო და დიმიტრის მიჰგვარა. იფიცებოდა,

ადექსანდრესთან იყვნენ და თოფს გვესროდნენო. თუშები აქეთ ფიცუდობდნენ, ცხვრის მეტი არაფერი ვიცითო. არ შეისმინა მათი დიმიტრიმ, ჩამოახრჩობინა და იქვე, მანავს, ცეცხლში დააწვევინა.



დავით უღუ

ღაშა-გიორგის ძე, მეფე დავით უღუ, ერთხანს ყაენს განუდგა. ამ ამბოხში ქართლის დიდგვაროვანთაგან გვერდით მხოლოდ სარგის ჯაყერი დაუდგა. მაგრამ დადგა ჟამი დაბავებისა. მეფე დავითი და სარგისი ყაენს ურდოში ეწვივნენ. ყვედას ეგონა, ყაენი დახოცავდა მათ. რატომ განმიდექითო? – ჰკითხა ყაენმა დავითს, მას კი სათქმელი არაფერი ჰქონდა და სარგის ჯაყერს მოხედა, თითქოს ის იყო ამბოხების მიზეზი. სარგისი არ შეშინდა, დაემხო ყაენის წინაშე და ყვედაფერი დაიბრადა. ვინ იცის, რა ეშვედებოდათ ქართველებს, ამ დროს ყაენს მაცნე რომ არ მოსვლოდა – ბათუ ყაენი დარუბანდის გზით საღაშქროდ მოდისო. ყაენი ბრძოლისთვის გაემზადა. წინამბრძოლად დავითი დანიშნა, სარგის ჯაყერი წინ დაიყენა. უეცრად ისე მოხდა,

რომ შვედმა გაირბინა იქვე. სარგის ჯაყერმა ისარი სტყორცნა და მოკრა. მცირე მანძილი განვდეს და ახლა მერა მოკრა ისრით, ცოტა ხანში კიდევ – კურდღელი. მოეწონა ყაენს სარგისი და მტერს რომ სძლია, ჯაყერს კარნუ-ქაღაქი და მიმდგომი ქვეყანა უბოძა.

შეშურდათ მავანთ და დავითს ჩააწვეთეს: მეფობაც სარგისს მიეცი ბარემ, ყაენმა ისე განადიდა, აღარ დაგემორჩილებაო. დაიჭერა დავითმა, ეჭვმა და შურმა დაუწყო ღრღნა, მივიდა ყაენის მრჩეველთან ედგონ ნოინთან და უთხრა, თუ ყაენი სარგისს კარნუ-ქაღაქს მისცემს, ბარემ გაამეფოსო. გაუკვირდა ნოინს მისი ნათქვამი – ყაენმა მას შენი თანადგომისთვის მისცა ქაღაქი და თუ არ გინდა, აღარ მისცემს. თქვენ, ქართველები, არას კეთილს უყოფთ მხნედ მეომართ – განა არ იცი, რომ ამ ომში სარგისმა ყაენი სიკვდილს გადაარჩინაო? ნოინმა ყოვერივე მოახსენა ყაენს და მანაც გადაიფიქრა სარგისისთვის კარნუ-ქაღაქის მიცემა. ამის შემდეგ სარგისი “გურაღებით და ქვეგამხედვარედ” შეიქმნა პატრონის მიმართ. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა, შემდგომში დავითმა სარგისი ტფილისში მოიწვია და შეიპყრო. ადრე მოაკვდევინებდა კიდევ, ისევ მონღოლებს რომ არ ეშვერათ. ამის შემდეგ ჯაყერები, ვიდრე გიორგი ბრწყინვალემდე, უშუალოდ ყაენს ემორჩილებოდნენ და არა ქართველთა მეფეს.

ერთხელ სტეფანოზ ქართლის მთავარმა (VII ს.) წმიდა შიოს თაყვანისცემა მოინდომა. წინა დღეს მსახური მიავირნა და შეატყობინა მამასახლისს თავისი მისვლა, მეორე დღეს შიომღვიმის მონასტერში მივიდა და კათოლიკოსი ბართლომეც იახლა. ჯვრებით, სანთლებით, გარობითა და ბარების რეკვით შეხვდნენ კათოლიკოსს ბერები. პატრიარქის ფეხდანადგამ მიწას იღებდნენ ევლოგიად. დოცვის შემდეგ პატრიარქი მცხეთაში დაბრუნდა და ბერებმაც ისეთივე პატივით გააციღს. ამის მაყურებელი სტეფანოზი შურით კვდებოდა. იხმო მონასტრის მამასახლისი და ჰკითხა: “ბერო არაკეთილო, განა ერთი დღით აღრე არ იცოდი ჩემი მოსვლა, მცირედი პატივითაც რომ არ შემხვდით, თქვენ ეპისკოპოსს კი თან გადაჰყევით?!” მამასახლისმა მდაბარი ხმით მიუგო: “ეს არის ჩვენი ეკლესიის წესი, ვემსგავსებით ებრაელ ყრმებს, უფადს რომ ადიდებდნენ იერუსალიმში შესვლისას”. სტეფანოზმა თქვა: “ჩემი ტახტი უფროის აღმატებულა

ეპისკოპოსისაზე, რათა მე მეფეთა ტახტზე ვზივარ, ისინი კი ღვთის ნაცვადნი არიანო მიწაზე”. “როცა სათნოებით ემსგავსებიან ღმერთს მეფენი, მაშინ არიან მისნი ნაცვადნი, – უთხრა პასუხად მამასახლისმა, – შენ კიდევ, ვხედავ, ფრიად შორს ხარ ღვთისმსახურებისგან, რადგან შურსა და ამპარტავნებას შეუპყრიხარო.”

განრისხებულმა სტეფანოზმა ორი მამული წაართვა მონასტერს. იმავე ღამეს ძირში წმიდა შიო გამოეცხადა და მიწების დაბრუნება მოსთხოვა. მეორე და მესამე ღამესაც იგივე განმეირდა. შეწუხებულმა სტეფანოზმა მამულების დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ სრული არ იყო მისი სინანული. მაშინ წმიდა შიო ცხადშიც გამოეცხადა და უთხრა, რომ ამ ცოდვის გამო ის დაბრმავდებოდა და გაგიჟდებოდა, ჭკუიდან გადავიდოდა მისი ცოდ-შვირიც. გაცოფებული სტეფანოზი და მისი ცოდ-შვირი ტანსაცმელს იპობდნენ და გაიძახოდნენ, შიოს მიერ ვიტანჯებითო. მსახურებმა შეიპყრეს და შიომღვიმის მონასტერში მიიყვანეს.

წინამძღვარმა წმიდა შიოს საფრავის მიწა წყარში ჩაყარა და ეშმაკეულებს შეასვა. ისინი იმწამსვე გონს მოვიდნენ, მაგრამ სტეფანოზი უსინათლო დარჩა. მაშინ სინანულში ჩავარდნილმა თავისი სამეფო ორი აგარაკიც ღირსი შიოს მონასტერს მიუძღვნა.

წინამძღვარმა წმიდა შიოს კვერთხი განბანა, შეასვა სტეფანოზს და თვარისჩინი დაუბრუნა. მადრიერმა სტეფანოზმა ქართლის ეკლესიები ხარკისგან გაათავისუფლა, სვეტიცხოვლის მოპირდაპირე მთაზე ჭვრის ეკლესია ააშენა. მისმა ცოდმაც ურიცხვი შესაწირი გაიღო წმიდა შიოს მონასტრისადმი, სადაც ყოველ წელს, წმინდანის ხსენების დღეს, ადიოდა ცოდ-ქმარი შვირებითურთ. მათ შორის იყო მათი ძე, უფრისწული არჩილიც, შემდგომში – მეფე და ქრისტესთვის მონამე.

karibche.ambebi.ge